

ეფექტური სწავლების მეთოდები სასწავლო დისციპლინაში ტურიზმის მენეჯმენტი

გველესიანი ელისო – ასოცირებული პროფესორი, ტურიზმისა და ლანდშაფტური არქიტექტურის დეპარტამენტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო

Teaching Methods for Providing Superior Academic Disciplines: Tourism Management

Gvelesiani Eliso – Associate Professor, Department of Tourism and Landscape Architecture, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia

Abstract

Introduction and aim: The aim of this study is to determine the methods that are popular the students of the faculty of tourism. Students and teacher were the subjects of the study. Lottery randomization sampling technique was employed to select 23 s from 1st, 2nd and 3rd year student for the questionnaires. Five teachers were purposively selected for in-depth interviews including the team leader. Six formal lesson observations were conducted. Qualitative data was narrated and presented thematically and quantitative data was analyzed with the help of SPSS Version 20 used to compute descriptive statistics measures (frequencies, percentages, mean and standard deviation) and the relationship between different variables were analyzed through Pearson correlation. The result showed that field trip is preferred as most interesting method of teaching for students to learn tourism courses followed by discussion, problem solving and brainstorming whereas lecture method is labeled as least interesting.

Research methodology: In the article we have used statistical data analysis, induction and deduction, comparative analysis methods' collaborative knowledge formation.

Results and implications: research show the majority of respondents are female (56.5 %) and male (43.5 %). In the same table 60.9 % of respondents came from urban, 30.4% from sub urban and the rest 8.2% from rural. Most of the respondents (69.6%) had freedom of expression at the time of childhood. Only 30.4% of respondents have no freedom to express their opinions in childhood.

Conclusion: Field trip is preferred as most interesting method of teaching for students to learn tourism courses followed by discussion, problem solving and brain storming. The reason for preferring the methods to others are summarized as fostering learning by doing, enjoyableness, promoting acquirement of the three blooms taxonomy enhancing experience sharing etc. This implies that the students prefer the methods in the learner centered approach and are ready to adore shouldering responsibility for taking leading roles.

Keywords: Teaching methods, tourism, education management, tourism management, interactive, technologies.

1. ტურიზმის დარგში განათლებისა და კვლევის საკითხების შესახებ

ამჟამად უნივერსიტეტები დგანან სერიოზული გამოწვევების წინაშე, მათ შორის ტურიზმის დარგში განათლებისა და კვლევების საკითხშიც. ტურისტული მეცნიერება ჯერ კიდევ არ არსებობს როგორც იზოლირებული დისციპლინა. ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს ამ საკითხთან დაკავშირებული წინააღმდეგობრივი მოსაზრებების შერიგება, არამედ მივუთითებთ იმაზე, რომ თავისთავად ტურიზმი წარმოადგენს მულტიდისციპლინარულ მეცნიერებას, რომელიც აგებულია ურიცხვ „პირველად“ აკადემიურ დისციპლინათა საფუძველზე. ტურიზმი არის სფერო, რომელზეც დიდ გავლენას ახდენს ადგილობრივი, ეროვნული და საერთაშორისო ტურიზმის მოთხოვნა და მიწოდება, ტურისტული ინდუსტრიის სტრუქტურა და მომხმარებელთა მახასიათებლები. ტურიზმს შეუძლია შეცვალოს სოციალური და ეკონომიკური ურთიერთობების ფორმები და ადგილები. ყოველივე ეს მოითხოვს ერთიან მიდგომას ტურისტული განათლებისადმი, სადაც ეკონომიკისა და საზოგადოების მიზნები ერთობლივად იქნებიან მიმართული ტურისტული პროგრამებისადმი. ტურისტული განათლება საჭიროებს სტუდენტების დინამიური სასწავლო გამოცდილებით უზრუნველყოფას. ეს თავის მხრივ საშუალებას მიცემს მათ ეფექტურად იმოქმედონ სწრაფად ცვლად და ინტენსიური მომსახურების მქონე სფეროში.

ჩვენი აზრით, უკვე უნდა არსებობდეს კონსოლიდირებულ პრაქტიკაზე დაფუძნებული თეორია რომელიც უზრუნველყოფს ტურიზმის განათლებაში ხარისხსა და ეფექტურობას ინტერაქტიული ტექნოლოგიების ფართე სპექტრისა და სწავლების სრულყოფილი მეთოდების გამოყენებით, რაც ხელს შეუწყობს სწავლების დინამიური, ინტერდისციპლინალური და საერთაშორისო გამოცდილების დანერგვას.

უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში ტურიზმი შეეჯახა ბევრ სერიოზულ გამოწვევას. მნიშვნელოვანწილად, მოხდა ტურისტული პროდუქტების მომსახურების დივერსიფიკაცია, და ეს პროცესი შეეხო დარგის თითქმის ყველა სეგმენტს¹ ეს ინოვაციური აქტივობა წარმოადგენს უწყვეტ პროცესს და სავარაუდოდ შეუქცევად ხასიათს ატარებს.

ისმის კითხვა, არის კი ტურისტული სექტორი მზად ამ გამოწვევების საპასუხოდ. მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო მასშტაბით არსებობენ მაღალპროფესიული ცალკეული ტურისტული ფირმები და სახელმწიფო ორგანიზაციები, დარგის საერთო სურათი არც ისე სახარბიელოა, როდესაც საქმე შეეხება მის კომპეტენტურობას, ინოვაციურობასა და ლიდერობის უნარს² ტურისტული ბიზნესის საწარმოთა უმრავლესობა პატარაა და გააჩნიათ ფუნქციონირებისათვის შეზღუდული რესურსები. საბედნიეროდ

¹ Gartner, 2005; Jackie Fenn | Alexander Linden Hype Cycle for Human-Computer Interaction. 16 June 2005
https://www.gartner.com/hc/asset_50605.jsp

Hall & Shaw, 2008; O'Dell & Billing, 2005; Russell & Falkner, 2003

² Moscardo, 2008

თუ საუბედუროდ სექტორი ძალიან ცვალებადია და ახალ მონაწილეებს შეუძლიათ ან არ შეუძლიათ შეიტანონ დარგში სტრატეგიული შესაძლებლობები და საჭირო ინვესტიციებისთვის სათანადო კაპიტალი.³

ტურისტულ ინდუსტიაში მენეჯმენტი ჩართული უნდა იყოს განათლების პროცესში. ყოველივე ეს მოითხოვს ისეთი ახალი სასწავლო სტრუქტურისა და მეთოდების გამოყენებას, რომლებიც მოქნილი იქნება გარე ცვლილებებისადმი და რომელიც გააერთიანებს სწავლების ინტეგრირებულ შესაძლებლობებს აუდიტორიაში, ლაბორატორიებში, ბიბლიოთეკაში, ინტერნეტში და სამუშაო ადგილებზე.

ღირებულებებზე დაფუძნებული სწავლება შეიძლება მოითხოვდეს ახალ პარადიგმებსა და მეთოდოლოგიას, რომლებიც ცდებიან ტრადიციულ დისციპლინალურ საზღვრებს. გოლესა და სხვების თანახმად გნოსეოლოგიური ნაწილი ტურიზმის შესწავლისას უნდა მოიცავდეს ისეთ პოსტ დისციპლინარულ მიდგომებს, როგორცაა მაღალი მოქნილობა, პლიურალიზმი, სინთეზურობა და სინერგიულობა.

მენეჯმენტის პოზიციიდან ტურისტული ბიზნესის წინაშე დგას ორი მთავარი ამოცანა: ა) მუშაობის პრაქტიკაში სრულად დაინერგოს საბაზრო მექანიზმი, ე.ი. ტურიზმის მენეჯმენტი შეივსოს საბაზრო მექანიზმით; ბ) ტურიზმის სფეროში მოხდეს „ნოუ-ჰაუს“ ადაპტირება XXI საუკუნის პირობებთან, ე.ი. მაქსიმალურად გათვალისწინებული იქნეს ტურიზმის საერთაშორისო ბაზარზე მიმდინარე პროცესები. ამ ამოცანების გადაწყვეტა დღის წესრიგში აყენებს ტურიზმის სფეროში მაღალკვალიფიციური მენეჯერების და ტურისტული ბიზნესის სხვა სპეციალისტების მომზადების აუცილებლობას, რომლებსაც უნდა ახასიათებდეთ მაღალი პროფესიონალიზმი, კომპეტენტურობა, ოპტიმალური გადაწყვეტილებების მისაღებად და ჯეროვანი პასუხისმგებლობა - შედეგებისათვის.

ჩვენი სტატიის მიზანია: 1. განიხილოს ტურიზმის სფეროში განათლების პრობლემები და უნივერსიტეტის, როგორც ღია ცოდნის გადაცემის მედიატორის როლი. 2. წარმოადგინოს ცოდნის დაგროვებასა და გავრცელებაში უნივერსიტეტის ახალი, ინოვაციური როლი. 3. ავლნიშნავთ იმ საერთო პრობლემებს, რომლებიც არსებობს ტურიზმის მენეჯმენტის კვლევასა და სწავლებაში. 4. „ტურიზმის მენეჯმენტის“ სწავლების იმ უპირატესი ინოვაციური მეთოდების გამოვლენა, რომელთა დანერგვაც სასწავლო პროცესში უზრუნველყოფს ტურისტული ბაზრის უზრუნველყოფას კვალიფიციური, მაღალი სტანდარტების შესაბამისი კადრებით.

როგორც იზოლირებული დისციპლინა, თავისთავად ტურიზმი წარმოადგენს მულტიდისციპლინარულ მეცნიერებას, რომელიც აგებულია ურიცხვ „პირველად“ აკადემიურ

³ Thomas, 2004

დისციპლინების საფუძველზე. ტურიზმი არის სფერო, რომელზეც დიდ გავლენას ახდენს ადგილობრივი, ეროვნული და საერთაშორისო ტურიზმის მოთხოვნა და მიწოდება, ტურისტული ინდუსტრიის სტრუქტურა და მომხმარებელთა მახასიათებლები. ტურიზმს შეუძლია შეცვალოს სოციალური და ეკონომიკური ურთიერთობების ფორმები და ადგილები. ყოველივე ეს მოითხოვს ერთიან მიდგომას ტურისტული განათლებისადმი, სადაც ეკონომიკისა და საზოგადოების მიზნები ერთობლივად იქნებიან მიმართული ტურისტული პროგრამებისადმი. ტურისტული განათლება საჭიროებს სტუდენტების დინამიური სასწავლო გამოცდილებით უზრუნველყოფას. ეს თავის მხრივ საშუალებას მიცემს მათ ეფექტურად იმოქმედონ სწრაფად ცვლად და ინტენსიური მომსახურების მქონე სფეროში.

ტურისტულ ინდუსტიაში მენეჯმენტი ჩართული უნდა იყოს განათლების პროცესში. ყოველივე ეს მოითხოვს ისეთი ახალი სასწავლო სტრუქტურისა და მეთოდების გამოყენებას, რომლებიც მოქნილი იქნება გარე ცვლილებებისადმი და რომელიც გააერთიანებს სწავლების ინტეგრირებულ შესაძლებლობებს აუდიტორიაში, ლაბორატორიებში, ბიბლიოთეკაში, ინტერნეტში და სამუშაო ადგილებზე.

2. სტუდენტების არჩევანის განმსაზღვრელი ფაქტორები

სტუდენტების განსხვავებული არჩევანი ცოდნის მიღებისას შეინიშნება სწავლის პროცესის სხვადასხვა ასპექტებში. კერძოდ: ფიზიკურ, ქცევით, აზროვნებისა და ურთიერთობის სტილის, სწავლების მეთოდების, ასევე შემეცნების სტილის ასპექტშიც.

სტუდენტთა მიერ სწავლის მეთოდის არჩევაზე დიდი გავლენა შეიძლება მოახდინოს სწავლების სტილმა, პერსონაჟის ტიპაჟმა, ინტელექტმა, ბავშვობიდან აზრის თავისუფლად გამოთქმის საშუალებამ და კომუნიკაბელურობამ.

სწავლის სტილი მრავალნაირად შეიძლება შეფასდეს, თუმცა ზოგადად 3 ნაწილად შეიძლება დაიყოს. კერძოდ: აუდიტორიული, ვიზუალური და ტაქტიკური; აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ ლექტორის მიერ მასალის გადაცემის პროცესში გამოყენებული იქნას სწავლების სხვადასხვა სტილი, რათა ყველა სტუდენტმა მაქსიმალურად მიიღოს ცოდნა და არ შემოიფარგლოს მხოლოდ ერთი მეთოდით.

სტუდენტთა სხვადასხვა არჩევანი არ არის განპირობებული მხოლოდ სწავლის სტილით, ის შეიძლება განისაზღვროს პერსონის ტიპაჟით და მრავალმხრივი ინტელექტით. გარდა ამისა, კონკრეტულ მეცადინეობაზე სწორი მეთოდის შერჩევა დამოკიდებულია სხვა მრავალ ფაქტორზე, კონკრეტულად ისეთზე როგორცაა: სტუდენტთა ასაკი, განვითარების დონე, მათ მიერ უკვე შეძენილი ცოდნა და იმის გააზრება, თუ რა სჭირდებათ სტუდენტებს წარმატებისათვის. ამასთან ერთად გათვალისწინებულია: საგნის შინაარსი, სალექციო თემის სპეციფიკა, სიტუაცია, დრო, გარემო და მატერიალური რესურსები. ამ

ყოველივეს გათვალისწინებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ არ არსებობს ერთი კონკრეტული სწავლების მეთოდი სტუდენტთა სწავლების მაღალი შედეგების მიღწევისათვის.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ გამოკითხულ რესპოდენტთა 43,5% ვაჟებია, ხოლო 56,5% გოგონა. აქედან 60,9% ქალაქში მცხოვრები, ხოლო 39,1% რეგიონების მკვიდრი. გამოხატვის თავისუფლების მიხედვით 69,6% ადასრურებს, რომ თავისუფალია აზრის გამოხატვაში, ხოლო 30,4%- არა. სტუდენტთა მიერ მოწონებული ხერხების რანჟირება ასეთია: აქტიურ მოსმენას უპირატესობას ანიჭებს 39,1%, ჯგუფურ მუშაობას 47,8%, ხოლო დემონსტრირების მეთოდს, რაც გულისხმობს ინფორმაციის ვიზუალურად წარმოადგენას - 13%. სასურველია, რომ ლექტორმა შეაფასოს სტუდენტთა სწავლის სტილი და მის მიერ გამოყენებული სწავლების მეთოდები მაქსიმალურად მოარგოს მათ ინდივიდუალურ სტილს.

გამოკითხვის შედეგებმა ცხადყო, რომ სწავლების პროცესში დარგის პროფესიონალების ჩართვა და ტურისტულ ობიექტზე მოგზაურობა ითვლება ყველაზე საინტერესო მეთოდად სტუდენტებისათვის, რათა ეს აძლევს მათ შესაძლებლობას შეისწავლონ კონკრეტული მასალა პრაქტიკულ მაგალითების განხილვის საფუძველზე, დისკუსიების, პრობლემების გადაჭრის და გონებრივი შტურმის ფონზე. აღნიშნული მეთოდების უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ ისინი აჯამებენ ყველა ისეთ მნიშვნელოვან ასპექტს, როგორცაა სწავლებით სიამოვნების მიღება, ყველა ხელსაყრელი და საჭირო გზების მოძიება, გამოცდილების გაღრმავება და გაზიარება. სტუდენტებისთვის კი ეს ნიშნავს იმას რომ აირჩიონ საუკეთესო მეთოდი ლექტორის მიერ შეთავაზებულ მეთოდთა შორის და ჩაუღრმავდნენ სასწავლო დისციპლინის არსს, რაც დაეხმარება მათ კონკრეტულ პოზიციაზე დასაქმების შემთხვევაში, პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღებაში და გაბედული მოქმედებების ხარჯზე სერიუზულ წინსვლაში.

2.1. რეკომენდაციები

სტუდენტების ათვისების ეფექტურობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული იმაზე თუ სწავლების რა მეთოდი იქნება გამოყენებული სასწავლო პროცესში. ამიტომ სწავლების მეთოდის არჩევა მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს. სწორად არჩეული მეთოდი განაპირობებს სწავლების პროცესში დასახული მიზნებისა და ობიექტივების შესრულებას, ნაყოფიერი ნიადაგის შექმნას იმისათვის, რათა სტუდენტმა არა მარტო ისწავლოს, არამედ შესაძლებლობა მიეცეს თავისი ინიციატივისა და შემოქმედებითი უნარების გამოვლენისა.

სწავლების პროცესში პროფესორი (მასწავლებელი) არის ერთ-ერთი მხარე, რომელიც ირჩევს სწავლების მეთოდს, მაგრამ მან უნდა გაითვალისწინოს მეორე მხარეც ანუ სტუდენტი; კერძოდ კი, მისი მოტივაცია და ინტერესი. იმისათვის რომ სასწავლო მასალა უკეთ იქნას ათვისებული

რეკომენდირებულია ექსკურსია, ხანმოლე გასვლა კონკრეტულ ტურისტულ ადგილზე, განხილვის მოწყობა და პრეზენტაცია კონკრეტულ თემაზე. ყოველივე ეს შექმნის პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებს შორის კარგ, ინტელექტუალურ ურთიერთობას და აამაღლებს სწავლის ეფექტურობას.

პროფესორი უნდა ეცადოს სწავლების პროცესში მოახდინოს იმ ადამიანების ინტეგრირება პროფესიონალური გარემოდან, რომლებიც სერიოზული წარმატებებით გამოირჩევიან ტურიზმის სფეროში. კერძოდ, ესენი შეიძლება იყვნენ: კანონმდებლები, რომლებიც მუშაობენ ტურიზმის საკანონმდებლო საკითხებზე, სასტუმროს ფინანსური მენეჯერები, მუზეუმის მენეჯერები და სხვა. ეს ადამიანები უნდა იყვნენ პროფესიონალები, რომლებიც უშუალოდ ჩართული არიან ტურიზმის სქემაში და მათთან ურთიერთობა სტუდენტს შესაძლებლობას მისცემს სწორი წარმოდგენა შეექმნას თავის მომავალ პროფესიაზე და გაიდრმავოს სწავლის მოტივაცია. ასევე სტუდენტს საშუალება მიეცემა იცოდეს დაახლოებით რა შემოსავალი შეიძლება ჰქონდეს დასაქმების შემთხვევაში, ასევე სხვადასხვა ტურისტულ ორგანიზაციებს სამსახურში აყვანის რა წესები და პირობები აქვს; ამავდროულად, თუ რომელიმე ორგანიზაცია (სასტუმრო, მუზეუმი, ტურისტული სააგენტო და ა. შ.) ეძებს მოხალისეს (ინტერნს), ეს საშუალებად მისცემს სტუდენტს დაუკავშირდეს აღნიშნულ ორგანიზაციას და თავისი პირველი პროფესიული ნაბიჯები გადადგას ტურიზმის სფეროში. ფაქტიურად ეს არის სწავლების ის მეთოდი, რომელიც მომავალ პროფესიულ უნარებს მოიტანს აუდიტორიაში. ყოველივე ეს კი საშუალებას მისცემს სტუდენტს უპირველეს ყოვლისა გაერკვეს თავის გრძნობებში მომავალ პროფესიასთან დაკავშირებით, გაანალიზოს რამდენად სასურველია მისთვის ასეთ გარემოში მუშაობა და რამდენად მზად არის ის აიღოს ის პასუხისმგებლობა, რასაც პროფესიონალები გაუზიარებენ ლექციაზე.

გამოყენებული წყაროები

1. <http://atsu.edu.ge/EJournal/HENTI/ebook/New/GvelesianiEliso.pdf>
2. <https://www.omicsgroup.org/journals/>
3. Jackie Fenn | Alexander Linden Hype Cycle for Human-Computer Interaction. 16 June 2005 https://www.gartner.com/hc/asset_50605.jsp
4. I. Ateljevic, N. Morgan and A. Pritchard “The Critical turn in Tourism Studies” 2012, Routledge advances un tourism pp.11-42
5. Хуторской, А.В. Эвристическое обучение: теория, методология, практика / А.В. Хуторской. – М., 1998. – 266 с.

